



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №88

2018 წლის 2 ნოემბერი

ქ. ზუგდიდი

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე


„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 იანვრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 11/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016392) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის 1-ლი მუხლის შემდეგ დაემატოს „1¹ მუხლი“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1¹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი არიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების საჯარო მოხელეები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იერსახის, რეკლამის, აბრის, გარევაჭრობის, ნარჩენებით დანაგვიანების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, აკუსტიკური ხმაურისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე რეაგირებას, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ზღვრის გადაჭარბებისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების ფაქტების გამოვლენას და კონტროლს, სამართალდამრღვევი პირების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის - საჯარიმო ქვითრის შედგენას.“



მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:


 ბესიკ ჭეჭია